



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით
დაკავებული ეკონომიკური სუბიექტები**

2019
წლის შედეგები



30.07.2020

www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

30.07.2020

ინფორმაცია ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის შესახებ (2019 წლის შედეგები)

2019 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული 208 ეკონომიკური სუბიექტი, რომელთა 30,8 პროცენტი ქ. თბილისშია, ხოლო 20,7 პროცენტი - იმერეთის, 12,0 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის, 12,0 პროცენტი - კახეთის, 7,2 პროცენტი - ქვემო ქართლის, 5,3 პროცენტი - აჭარის, 4,3 პროცენტი - შიდა ქართლის, 2,9 პროცენტი - სამცხე-ჯავახეთის, 1,9 პროცენტი - გურიის, 1,9 პროცენტი - მცხეთა-მთიანეთის და 1,0 პროცენტი - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონებშია განთავსებული.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობას და მათ პროცენტულ განაწილებას საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2018-2019 წლებში.

ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა და მათი პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2018-2019 წლებში

	ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)		პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით (%)	
	2018 წელი	2019 წელი	2018 წელი	2019 წელი
საქართველო	206	208	100.0	100.0
მათ შორის:				
ქ. თბილისი	66	64	32.0	30.8
აჭარის ა.რ.	10	11	4.9	5.3
გურია	3	4	1.5	1.9
იმერეთი	41	43	19.9	20.7
კახეთი	25	25	12.1	12.0
მცხეთა-მთიანეთი	4	4	1.9	1.9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2	2	1.0	1.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	25	25	12.1	12.0
სამცხე-ჯავახეთი	6	6	2.9	2.9
ქვემო ქართლი	15	15	7.3	7.2
შიდა ქართლი	9	9	4.4	4.3

ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შებენიერი პასუხისმგებლობის

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

30.07.2020

საზოგადოება, რომლის წილად მოდის 2019 წელს მოქმედი ბაზრობების საერთო რაოდენობის 76,0 პროცენტი, ინდივიდუალური მენარმეების წილად კი - 21,6 პროცენტი. ბაზრობების დანარჩენ ნაწილს გააჩნია კოოპერატივის (1,0 პროცენტი), სააქციო საზოგადოების (1,0 პროცენტი) და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (0,4 პროცენტი) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ბაზრობების 96,6 პროცენტი კერძო საკუთრებაშია, ხოლო 3,4 პროცენტი - სახელმწიფო საკუთრებაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2019 წელს მოქმედი ბაზრების და ბაზრობების განაწილებას ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით რეგიონულ ქრთლში:

ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით, 2019 წელს

	სულ	მათ შორის				
		შ.პ.ს.	კოოპერატივი	ს.ს.	ს.პ.ს.	ი.ბ.
საქართველო	208	158	2	2	1	45
მათ შორის:						
ქ. თბილისი	64	60	-	1	-	3
აჭარის ა.რ.	11	9	-	1	-	1
გურია	4	2	-	-	-	2
იმერეთი	43	33	-	-	-	10
კახეთი	25	12	-	-	-	13
მცხეთა-მთიანეთი	4	1	-	-	-	3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2	1	-	-	-	1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	25	16	-	-	1	8
სამცხე-ჯავახეთი	6	4	-	-	-	2
ქვემო ქართლი	15	13	1	-	-	1
შიდა ქართლი	9	7	1	-	-	1

2019 წელს საქართველოში მოქმედი ბაზრები, ბაზრობები და ბაზრობის ტიპის საწარმოები განთავსებული იყო 2,0 მლნ. კვადრატულ მეტრ ფართობზე. ამ ტერიტორიაზე განლაგებული დახლების სიგრძე 53,1 ათასი მეტრია, რომელთა 65,7 პროცენტი შენობაშია განთავსებული. ბაზრობებს გააჩნია 73 ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორია, 1360 - შემნახველი საკანი (საწყობი) 27,4 ათასი კვ. მეტრი ფართობით, 0,8 ათასი ტონის ტევადობის - 415 მაცივარი.

2019 წელს მოქმედი ბაზრობების 37,0 პროცენტი გადახურულია (ვაჭრობა შენობაში მიმდინარეობს), 32,7 პროცენტი ღია ტიპისაა (ვაჭრობა მიმდინარეობს შენობის გარეთ), 30,3 პროცენტი - ნახევრადგადახურულია (ვაჭრობა მიმდინარეობს შენობაშიც და შენობის გარეთაც).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

30.07.2020

2019 წელს ბაზრობების ორგანიზებით დაკავებულ საწარმოებში (ბაზრობების დირექციებში) დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 3,0 ათას კაცს შეადგენდა, რომელთაგან 33,8 პროცენტი ქალია. დასაქმებულთა 46,4 პროცენტი ქალაქ თბილისზე მოდის, დანარჩენი სხვა რეგიონებზე ნაწილდება.

2019 წელს ბაზრობების, ბაზრობების და ბაზრობის ტიპის საწარმოების შემოსავლებმა 166,5 მლნ. ლარი შეადგინა. ბაზრობების ტერიტორიაზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების მიერ ვაჭრობის უფლებისათვის (ერთჯერადი გადასახდელის სახით) გადახდილია 50,4 მლნ. ლარი, რაც ბაზრობების დირექციების შემოსავლების 30,3 პროცენტს შეადგენს. 63,3 პროცენტს შეადგენს შემოსავლები სავაჭრო ფართის გაქირავებიდან, ხოლო 6,4 პროცენტი - სხვა სახის შემოსავლებს მიეკუთვნება. 2019 წელს ბაზრობის ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების დანახარჯებმა 99,6 მლნ. ლარი შეადგინა, აქედან შრომის ანაზღაურება დასაქმებულ პერსონალზე 29,3 მლნ. ლარია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: dkupatadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge